ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №07

2013 წლის 26 აპრილი

დაბა ხულო

ხულოს მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას, საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ქ'' ქვეპუნქტის, ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის 19^5 მუხლის მე-3 პუნქტის და ,,სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 27 სექტემბრის №898 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დადგინდეს ხულოს მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას, საწყისი წლიური ქირა შემდეგი ოდენობით:

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შესაბამის ტერიტორიულ ზონაში მოქმედი მიწის ნორმატიული ფასის 10%-ის ოდენობით;

2. სხვა უძრავ ქონებაზე ნივთის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

3. მოძრავ ქონებაზე ნივთის საბაზრო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

მუხლი 2

ცნობად იქნეს მიღებული, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიულ ფასს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიების (ზონების) მიხედვით, განსაზღვრავს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3

ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ თავართქილაძე**